როგორც ერთი გუნდი

როგორც ვიუწყებოდით, ფეხბურთში სსრ კავშირის მიმდინარე ჩემპიონატის მატჩი ერევნის „არარატსა“ და თბილისის „ დინამოს“ გუნდებს შორის 14 მაისს, ნაცვლად ერევნისა, ჩატარდებოდა სოჭში. „ლელოს“ კორესპონდენტიც სოჭში გაემგზავრა და, ცხადია, თამაშს ვერ დაესწრო.

გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით მომმე სომხეთის სპორტული გაზეთის რედაქციას. გადავწყვიტეთ ჩვენს გაზეთში მთლიანად დაგვებეჭდა ამ მატჩის მიმოხილვის ის მასალა, რომელიც სომხეთის სპორტულმა გაზეთმა „ჰაისტანი ფიზკულტურნიკმა“ მოამზადა. ასე რომ, წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ერთდროულად იბეჭდება, როგორც სომხურ, ისე ქართულ სპორტულ გაზეთში. ამგვარ გადაწყვეტილებაზე სულგრძელად დაგვთანხმდა „ჰაიასტანი ფიზკულტურნიკის“ რედაქტორის მოადგილე, ზემოაღნიშნული საფეხბურთო მატჩის მიმოხილვის ავტორი მისაკ ნაზარიანი, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

„არარატი“ (ერევანი) – „დინამო“ (თბილისი) - 0:0.

14 მაისი. ერევანი. „რაზდანის” სტადიონი. 27.000 მაყურებელი.

„არარატი“: პოდშივალოვი, ოვსეფიანი, ვ. ხაჩატრიანი, ა. ხაჩატრიანი, ოვანესიანი (ქამალიანი - 70 წ), ენგიბარიანი, ოსიპიანი, მელიქიანი, ვერანიანი, აღაზიანი, დემირჭიანი.

„დინამო“: ხაპოვი, კეტაშვილი, თეთრაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, აფციაური, სვანაძე, ცვეიბა, ცაავა, კაჭარავა (ქეცბაია - 46 წ.), გოგიჩაიშვილი (ყაველაშვილი - 28 წ.)

მსაჯი ი. ვერგოპულო (მოსკოვი)

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი არ შემდგარა.

ეს მატჩი, როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, სოჭში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ერევნელთა მოთხოვნით იგი, პირვანდელი დანიშნულების ადგილის - სომხეთის დედაქალაქში შედგა.

გულთბილად, ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეხვდნენ ერევნელები აეროპორტ „ზვარტნოცში“ თბილისელ ფეხბურთელებს, რომლებიც აქ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოფრინდნენ. ძვირფასი სტუმრები სასტუმრო „დვინამდე“ მიაცილეს და... სულ მალე თამაშიც დაიწყო.

მთელმა სტადიონმა ფეხზე ამდგარმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო თბილისში 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას.

საერთოდ ერევნელ და თბილისელ ფეხბურთელთა შეხვედრები მუდამ უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობს, ამჯერად კი თამაშის სპორტული მხარე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე პლანზე გადავიდა. ტრიბუნები მხარს უჭერდნენ როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს, თითქოს მოედანზე მართლაც ერთი გუნდი იყო. აკი თამაშის შემდეგ დინამოელებმა აღიარეს, რომ თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს შინ თამაშობდნენ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი რედაქცია მრავლად იღებდა მადლობის წერილებს სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებისთვის. პირველ რიგში ქართველი ხალხის მისამართით. და ამიტომ გული გვწყდებოდა, რომ სოჭში მატჩის გადატანით საშუალება არ გვეძლეოდა გულთბილად და თანაგრძნობით მივსალმებოდით საქართველოს წარგზავნილებს. წარმოიდგინეთ, ბევრი სოჭშიც კი გაემგზავრა და... სამწუხაროდ, ვერ ჩაუსწრო მატჩს. ცხადია, ამითაც აიხსნება, რომ შეხვედრას მხოლოდ 27 ათასი კაცი დაესწრო. ტრიბუნები მხურვალე ტაშით ესალმებოდნენ ორივე გუნდის ფეხბურთელებს.

თამაშის შემდეგ კი როლები შეიცვალა - ახლა ფეხბურთელები უკრავდნენ ტაშს გულშემატკივრებს ესოდენ გულთბილი მიღებისთვის. მართალია, თამაშში ნულოვანი ფრე აღინიშნა, რაც ასე არ უყვართ მაყურებელს და თვით ფეხბურთელებსაც, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო...

ორიოდე სიტყვა თვით მატჩის შესახებ, რომელშიც, უდავოდ, მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ მეკარეები - გამოცდილი ერევნელი პოდშივალოვი და დინამოელთა დებიუტანტი ხაპოვი. სახიფათოდ ურტყამდნენ კარში ქეცბაია, ცვეიბა, ცაავა, თავის მხრივ „არარატის“ დებიუტანტს, 19 წლის დემირჭიანსაც ორჯერ შეეძლო მეტოქის კარის აღება.

მეტოქეებმა ქულები გაიყვეს...

მისაკ ნაზარიანი.
(ტელეფონით)
ერევანი
“ლელო” 16.05.1989